გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით ამ ბმულზე ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 244 73 03
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

საინფორმაციო ფურცელი № D2m: ვიზა კონტინგენტზე ორიენტირებული მოკლევადიანი დასაქმებისთვის

აპრილი 2024

გაითვალისწინეთ, რომ საბუთები უნდა იყოს სრულყოფილი და კარგად წაკითხვადი! არასრულად შემოტანილი განაცხადი შეიძლება იყოს ვიზის გაცემაზე უარის თქმის მიზეზი.

გერმანიის საელჩო გთხოვთ, რომ საგანაცხადო ანკეტა შევსებული იყოს გერმანულ ან ინგლისურ ენაზე. გთხოვთ, არ შეავსოთ იგი ქართულ ენაზე!

ზოგადი ინფორმაცია

გერმანიის შრომის ფედერალური სააგენტოს მიერ გაცემული წინასწარი თანხმობისა და ქვემოთ მოცემული საბუთების საფუძველზე, უცხოელთა დასაქმების შესახებ ბრძანებულების მე-15d მუხლის შესაბამისად, შესაძლებელია გერმანიაში მოკლევადიანი დასაქმებისათვის სავიზო განაცხადის შემოტანა. ამ შემთხვევაში დასაქმებისთვის აუცილებელი არ არის შესაბამისი კვალიფიკაციის ქონა.

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ წინამდებარე ინფორმაციას. საელჩოში ვიზიტზე დარეგისტრირდით (RK-Termin_diplo.de) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებთ წინაპირობებს და შეგეძლებათ ყველა აუცილებელი საბუთის წარმოდგენა. თუ წინაპირობებს ვერ აკმაყოფილებთ ან საბუთების საფუძველზე წინაპირობების არსებობა ვერ დადასტურდება, შეიძლება უარი მიიღოთ ვიზის გაცემაზე.

საელჩო შეეცდება, რაც შეიძლება სწრაფად განიხილოს თქვენი განაცხადი. განხილვის დასრულებისთანავე მიიღებთ შეტყობინებას. გთხოვთ, თავი შეიკავოთ განაცხადის განხილვის მდგომარეობის შესახებ შეკითხვების გამოგზავნისგან საბუთების შემოტანიდან ოთხი კვირის განმავლობაში. ასეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემა სავიზო განყოფილებისთვის დამატებით სამუშაოს წარმოადგენს, რაც აჭიანურებს განაცხადების განხილვას.

ვიზის მისაღებად საჭიროა შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

გთხოვთ, ყველა საჭირო საბუთი წარმოადგინოთ ზემოთ მოცემული თანმიმდევრობით. შემდეგი საბუთები უნდა წარმოადგინოთ **ორიგინალში ერთ ასლთან** ერთად.

გთხოვთ, საბუთები შეკრათ **სკრეპით** და **არ აკინძოთ სტეპლერით**.

- ☐ ლათინური ასოებით (გერმანულად ან ინგლისურად) სრულყოფილად (შეძლებისდაგვარად კომპიუტერში) შევსებული, პირადად ხელმოწერილი და ამობეჭდილი საგანაცხადო ანკეტა.

მითითება:
ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.

გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით ამ ბმულზე ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 244 73 03
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

- ☐ 1 პირადად ხელმოწერილი ფორმულარი - ინფორმაცია არასწორი და ყალბი მონაცემების მითითებასთან დაკავშირებით (თანდართული აქვს საგანაცხადო ანკეტას).
- ☐ 1 პირადად ხელმოწერილი ფორმულარი - ინფორმაცია სამუშაო ადგილის შემოთავაზების არსებობასთან დაკავშირებით (თანდართული აქვს საგანაცხადო ანკეტას).
- ☐ ლათინური ასოებით (გერმანულად ან ინგლისურად) (შეძლებისდაგვარად კომპიუტერში) დაწერილი სრულყოფილი ამჟამინდელი საცხოვრებელი მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია.
- ☐ 2 ბიომეტრიული ფოტოსურათი, რომელიც გადაღებული უნდა იყოს ბოლო 6 თვეში, თეთრ ფონზე, ზომა 45მმ x 35მმ, ერთი ფოტოსურათი დააწებეთ საგანაცხადო ანკეტას.
- ☐ მოქმედი სამოგზაურო პასპორტი, ორიგინალი და 1 ასლი. პასპორტში უნდა იყოს მინიმუმ 2 ცარიელი გვერდი.
- ☐ გერმანიის შრომის ფედერალური სააგენტოს მიერ გაცემული წინასწარი თანხმობა (Vorabzustimmung), ორიგინალი და ერთი ასლი.
- ☐ დამსაქმებლის მიერ სრულად შევსებული და ხელმოწერილი გერმანიის შრომის ფედერალური სააგენტოს ფორმულარი „Erklärung zum Beschäftigungsverhältnis“ (არ უნდა იყოს 6 თვეზე მეტი ხნის), ორიგინალი და ერთი ასლი
- ☐ დამსაქმებლის მიერ სრულად შევსებული და ხელმოწერილი გერმანიის შრომის ფედერალური სააგენტოს ფორმულარი „Zusatzblatt für einen Aufenthalt im Rahmen der kurzzeitigen kontingentierten Beschäftigung, Zusatzblatt D“ (არ უნდა იყოს 6 თვეზე მეტი ხნის), ორიგინალი და ერთი ასლი
- ☐ გადასახადი: სავიზო განაცხადის შემოტანის საფასური შეადგენს 75 ევროს. საფასურის გადახდა ხორციელდება განაცხადის შემოტანისას მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით **ლარში**.

გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ საბუთები სრულყოფილი სახით წარმოადგინოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, თქვენი სავიზო განაცხადი უარყოფილ იქნეს.

მითითება:
ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.